

საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა
ასოციაცია

სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფ პირთა საარჩევნო უფლება

ანალიზი და კვლევა

gyca

13.11.14

სარჩევი

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლი.....	3
ნორმის მოქმედი რედაქცია	3
ნორმის ისტორია და განხორციელებული ცვლილებები	3
პრობლემატიკა.....	4
მსჯავრდებული და საარჩევნო უფლება-ანალიზი	5
რამდენად გამართლებულია მსჯავრდებულისათვის აქტიური საარჩევნო უფლების	
შეზღუდვა	7
მსჯავრდებულის საარჩევნო უფლება და არჩევნების სახე-ანალიზი.....	10
მსჯავრდებულთა საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებული პრაქტიკის მიმოხილვა	11
მსჯავრდებულთა ხმის მიცემის უფლება ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში	11
გერმანიის კანონმდებლობის მიმოხილვა.....	11
საფრანგეთის კანონმდებლობის მიმოხილვა	13
მსჯავრდებულთა საარჩევნო უფლება ამერიკის შეერთებულ შტატებში.....	14
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და კანადის სასამართლოს	
გადაწყვეტილებები	15
რეკომენდაცია	19
დანართი.....	22

შესავალი

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირების აქტიურ საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება, სხვა ქვეყნების კანონმდებლობებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების მომიხილვა და გადაჭრის გზების მოძიება.

კონსტიტუციის 28-ე მუხლი

ნორმის მოქმედი რედაქცია

მუხლი 28

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.
2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული.¹

ნორმის ისტორია და განხორციელებული ცვლილებები

ნორმის არსებობის განმავლობაში, მასში ცვლილება მხოლოდ ერთხელ შევიდა. 2011 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონით, შეიცვალა მუხლის მეორე პუნქტი, რომელიც ცვლილებამდე გამოიყურებოდა ამგვარად:

“არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში.”

ცვლილებით კი არსებულ ნორმას დაემატა შემდეგი დათქმა:

“გარდა იმ პირისა, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული.”

¹ https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=30346&lang=ge

განხორციელებულ ცვლილებამდე კონსტიტუცია კრძალავდა თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების არჩევნებში მონაწილეობას. ნორმის ამგვარი ფორმულირება არაპროპორციულად ზღუდავდა მსჯავრდებულ პირების საარჩევნო უფლებას. ვენეციის კომისიამ 2010 წლის დასკვნაში აღნიშნა, რომ სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფ პირს ხმის მიცემის უფლება უნდა შეეზღუდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ჩაიდინა იმდენად მძიმე დანაშაული, რომ პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა ჩადენილი დანაშაულის პროპორციულია.²

ცვლილების შედეგად, დაშვებული იქნა თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების ნაწილისთვის არჩევნებში მონაწილეობა. კერძოდ, ეს შეეხო ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენ მსჯავრდებულებს.

ვენეციის კომისიამ გატარებული ცვლილებები წინ გადადგმულ ნაბიჯად შეაფასა, თუმცა, დადებით შეფასებებთან ერთად იყო მითითებები იმასთან დაკავშირებით, რომ შეზღუდვა დანარჩენ მსჯავრდებულებთან მიმართებით იყო მათ საარჩევნო უფლებაში არაპროპორციული ჩარევა, რაც ასევე საჭიროებდა გადახედვას.

პრობლემატიკა

ნორმის ამჟამინდელი რედაქციიდან იკვეთება ორი პრობლემური საკითხი, რომლებიც საჭიროებს შესაბამის გადაწყვეტას.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ განხორციელებული ცვლილება, რომელიც თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების ნაწილისთვის ითვალისწინებს არჩევნებში მონაწილეობის უფლების აღდგენას, გამოწვეული იყო ქვეყანაში ადამიანის უფლებათა გარანტირების სტანდარტის ამალღების აუცილებლობით და იმ საჭიროებით, რომელიც, თავის მხრივ, განპირობებული იყო ქვეყნის დასავლური ღირებულებებისაკენ სვლით. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ განხორციელებულმა ცვლილებებმა დღის წესრიგიდან ბოლომდე ვერ მოხსნა მსჯავრდებულთა საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებული პრობლემა, რადგან თავად ცვლილებით აღიარებულ იქნა ამ უფლების არსებობის აუცილებლობა/საჭიროება, თუმცა, ამავე ცვლილებამ უარი თქვა უფლების სრულად აღდგენაზე: მაინც დარჩა პირთა წრე, რომლისთვისაც იმავე მოტივით და საფუძვლითაა უფლებაჩამორთმეული, რომლითაც აქამდე იყო.

ზემოთთქმულის გათვალისწინებით, ამჟამად კონსტიტუციაში მსჯავრდებულთა საარჩევნო უფლება დგას კითხვის ქვეშ, რაც მოითხოვს შესაბამის მოწესრიგებას.

მეორე პრობლემა, რომელსაც კონსტიტუციის 28-ე მუხლში ვხვდებით, არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორც ნორმის “გამართულობის” თვალსაზრისით, ისე დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით. კერძოდ, საქართველოში გატარდა მასშტაბური ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა, რომელმაც ეფექტიანად უნდა აამუშაოს

² [http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2010\)013-e](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2010)013-e)

მუნიციპალური ორგანოები და, დღევანდელთან შედარებით, გაზარდოს მათი როლი. აღნიშნული კი თავისთავად გამოიწვევს თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისთვის მეტი მნიშვნელობისა და აქტუალობის შექმნას.

კონსტიტუცია, თავის მხრივ, მზადაა მსგავსი ტიპის დატვირთვა და მნიშვნელობა აღიაროს არჩევნების ამ სახისთვის, რაც გამოიხატება იმით, რომ 28-ე მუხლის პირველ პუნქტში საარჩევნო უფლება განმარტებულია, როგორც რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება; ანუ კონსტიტუცია, თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს ცნობს არჩევნების ცალკე სახედ.

არსებული რეგულირების თანახმად, ნათელია, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლების სუბიექტი აღიჭურვება “სამივე სახის” საარჩევნო უფლებით (რეფერენდუმში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება), თუმცა, არსებობს ლეგიტიმური კითხვა იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც კონსტიტუცია ზოგადი აკრძალვიდან გამონაკლისს ითვალისწინებს (თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები, “რომელთაც ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე დანაშაული”). უნდა გავრცელდეს თუ არა ამ პირებზე საარჩევნო უფლება იმავე ფარგლებით, რა ფარგლებითაც იგი ვრცელდება ჩვეულებრივ სუბიექტზე (უნდა ჰქონდეთ თუ არა მათ სამივე სახის არჩევნებში ხმის მიცემის უფლება?)

მსჯავრდებული და საარჩევნო უფლება - ანალიზი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების საარჩევნო უფლების საკითხი მოითხოვს რეგულირებას და ეს 2011 წლის 27 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებითაც დასტურდება. თუმცა, ისმის სამართლიანი კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ შენარჩუნდა ამკრძალავი მიდგომა დანარჩენი მსჯავრდებულების მიმართ; აღნიშნული ზოგადი აკრძალვიდან გამონაკლისის დაწესებისას რატომ იქნა არჩეული სასჯელის ხანგრძლივობის კრიტერიუმი და რა პრინციპით შეირჩა კონკრეტული ზღვარი (ნაკლებად მძიმე დანაშაული).

უმჯობესია, დავიწყოთ უფრო ვიწრო თემით: კონსტიტუცია საარჩევნო უფლებას ანიჭებს თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებს, “რომელთაც ჩადენილი აქვთ **ნაკლებად მძიმე დანაშაული**”. ამ ნიშნით მსჯავრდებულთა გამორჩევა, ნაკარნახევი უნდა იყოს სასჯელის (თავისუფლების აღკვეთის) ვადის სიმცირიდან გამომდინარე და იმ მოტივით, რომ ასეთ დროს მსჯავრდებული სხვა მსჯავრდებულებთან შედარებით უფრო ნაკლებადაა მოწყვეტილი საზოგადოებას და საზოგადოებრივ ცხოვრებას, შესაბამისად, იგი უფრო მეტადაა “უფლებამოსილი”, ზეგავლენა მოახდინოს ხელისუფლების ფორმირებაზე. თუმცა ამ ტიპის “მორალურად გამართლებული” მოტივაცია, წინააღმდეგობაში მოდის ზოგიერთ სამართლებრივ საკითხთან.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუცია აღნიშნული ცვლილების განხორციელებამდე არ აკლასიფიცირებდა დანაშაულს რაიმე ნიშნით.

დღევანდელი მდგომარეობითაც, თუ არ ჩავთვლით განსახილველ ნორმას, კონსტიტუციაში არსად გვხვდება დანაშაულის, როგორც სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტის, რაიმე სახესხვაობა. დანაშაულის კატეგორიებს განსაზღვრავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლი, რომლითაც, სასჯელის მაქსიმალური ვადის მიხედვით, დგინდება დანაშაულთა სამი კატეგორია, ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები.

განხორციელებული ცვლილებით, კონსტიტუცია “შეიჭრა” სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და არსებული რეგულაციის ცალკეული ნაწილი გახადა კონსტიტუციით რეგლამენტირებული - გახადა რა მისი არსებობა აუცილებელი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. საკითხი პრობლემურია იმდენად, რამდენადაც კანონმდებელს აღარ აქვს თავისუფლება, მოახდინოს დანაშაულების სხვაგვარი კატეგორიზაცია და, ამასთან, თავად კონსტიტუციაც ახდენს მხოლოდ ნაწილის რეგლამენტაციას (ნაკლებად მძიმე დანაშაული), ისიც არა მიზანმიმართულად, არამედ “შემთხვევით”, სხვა უფლების დადგენისთვის. თავად ის ფაქტი, რომ კონსტიტუციამ შემოგვთავაზოს სისხლისსამართლებრივი დანაშაულების რაიმე სახის კლასიფიკაცია, არათუ არ შეესაბამება კონსტიტუციის ნორმატიულ ხასიათს, არამედ არ ემთხვევა ამ ნორმატიული აქტის მიზნებსა და არსს.

შემდეგი კითხვა ეხება, სუბიექტთა გამორჩევის კრიტერიუმს, რომელსაც, ცვლილების მიხედვით, წარმოადგენს სასჯელის ვადა. შემოღებული რეგულაცია აქაც აწყდება სამართლებრივ წინააღმდეგობებს. ცვლილების მიღების მომენტისთვის “ნაკლებად მძიმე დანაშაული”, სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მიხედვით, არის დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელის ვადად განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა მაქსიმუმ ხუთი წლის ვადით.

ის ფაქტი, რომ კონსტიტუციაში საარჩევნო უფლების სუბიექტთა განსაზღვრისათვის გამოყენებულია ტერმინი “ნაკლებად მძიმე დანაშაული” და აღნიშნული ტერმინის განმარტებისათვის რელევანტური კომპონენტი - თავისუფლების აღკვეთის ვადა - განისაზღვრება კანონით, უკვე ეწინააღმდეგება კონსტიტუციის ნორმის მიღების საფუძველსა და მიზანს, ვინაიდან, კანონმდებელი კონსტიტუციით კი არ ანიჭებს სუბიექტს საარჩევნო უფლებას, არამედ კანონით. ამის გამო, შესაძლებელია, სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებით, “ნაკლებად მძიმე დანაშაული” გახდეს სასჯელის სხვა ვადასთან დაკავშირებული კატეგორია. ეს ვადა შეიძლება, იყოს 5 წელზე მეტი ან ნაკლები. შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებამ შეიძლება, განსაზღვროს პირის არჩევნებში მონაწილეობის უფლება, რაც გაუმართლებელია. განსახილველი საკითხის ამგვარი რეგულირებით, თავად კონსტიტუციური ნორმა ეწინააღმდეგება თავის თავს - ადგენს განსხვავებას (უთანასწორობას) თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა შორის; ამ განსხვავების ნიშანს (თავისუფლების აღკვეთის ვადას) იყენებს იმის დასასაბუთებლად, რომ სუბიექტთა მეორე ნაწილი, სწორედ ამ ვადის სიდიდის გამო, არ უნდა ფლობდეს საარჩევნო უფლებას და, ამასთან, შესაძლებელს ხდის, იერარქიით ქვემდგომი აქტის შეცვლით, შეიცვალოს ეს ზღვარი და, შესაბამისად, კონსტიტუციის ნორმის ნორმატიული შინაარსი.

გარდა აღნიშნული ხარვეზისა, სადავოა მსჯავრდებულთა საარჩევნო უფლებით აღჭურვა სასჯელის ვადის მიხედვით. რომც მომხდარიყო კონსტიტუციაში სასჯელის ვადის პირდაპირ მითითება, ყოველთვის საკამათო დარჩებოდა აღნიშნული ვადის განსაზღვრა, რადგან პირდაპირი კავშირის დადგენა თავისუფლების აღკვეთის ვადასა და საარჩევნო უფლების შეზღუდვის გამართლებას შორის არ არსებობს.

სასჯელის ვადის, როგორც კრიტერიუმის, ალტერნატივად გვევლინება ჩადენილი დანაშაულის ტიპი. (მაგალითად, სსკ ითვალისწინებს ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს დ.ა.შ.). შესაძლებელია კრიტერიუმის სახით ამ ტიპის დაყოფის გამოყენება, თუმცა, ამ შემთხვევაშიც იმავე პრობლემას წავაწყდებით, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ; ანუ დანაშაულის ტიპის დაკონკრეტება კონსტიტუციურ ნორმაში გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს.

რამდენად გამართლებულია მსჯავრდებულთათვის აქტიური საარჩევნო უფლების შეზღუდვა

არჩევნებში მონაწილეობა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებაა. თუმცა, შესაძლებელია მისი შეზღუდვა ისევე, როგორც უფლებათა უმეტესობისა. სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა დასაშვებია ისეთი უფლებებით დაცულ სფეროშიც კი, როგორცაა სიცოცხლის უფლება, თუმცა, რაც უფრო ძირეული და მნიშვნელოვანია უფლებით დაცული სფერო, მით უფრო მცირდება და იზღუდება ის ფარგლები, რა ფარგლებშიც შეიძლება, გამართლებული იყოს მასში ჩარევა.

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო უფლების შეზღუდვას კონსტიტუციის ნორმა თავადვე ახდენს, თეორიულად შეგვიძლია გამოვიყენოთ თანაზომიერების ტესტი, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ნორმის კონსტიტუციურსამართლებრივი შეფასების კრიტერიუმად გამოიყენება.

თავდაპირველად მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, ზოგადად რა მიზანს ემსახურება იმ პირთა აქტიური საარჩევნო უფლების შეზღუდვა, რომლებიც სასამართლოს განაჩენის საფუძველზე იყოფებიან სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში, ხოლო შემდგომ უნდა დადგინდეს, რამდენად ემსახურება კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული რეგულაცია ამ მიზნის მიღწევას; რამდენად არის ეს ღონისძიება მიზნის მიღწევის გამოსადეგი, ეფექტური და უფლების ყველაზე ნაკლებად მზღუდავი საშუალება.

ვინაიდან „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2011 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონის განმარტებითი ბარათი არ არსებობს, შეგვიძლია, ზოგადად მოვახდინოთ მსჯავრდებულთა აქტიური საარჩევნო უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნის იდენტიფიცირება.

უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი შესაძლოა იყოს სხვა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, ლეგიტიმურ მიზანს შესაძლოა განსაზღვრავდეს თავად ამ უფლების დამდგენი კონსტიტუციური ნორმა, ან კონსტიტუცია. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან უფლების შეზღუდვას კონსტიტუცია თავად ახდენს, თავისთავად ეს მიზანი კონსტიტუციურად მიიჩნევა.

ლეგიტიმური მიზანი შეიძლება იყოს სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება, რაც თავის მხრივ ემსახურება ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას, შესაბამისად, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და სამართლებრივი წესრიგის უზრუნველყოფას.

ლეგიტიმური მიზნის იდენტიფიცირების შემდეგ შეგვიძლია, ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად ემსახურება კონსტიტუციით დადგენილი შეზღუდვა აღნიშნული მიზნის მიღწევას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ კი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებელი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას.“ ამ კატეგორიის დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება ისეთი დანაშაულები, როგორც არის: მუხლი 162. არჩევნებში, რეფერენდუმში, ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; მუხლი 163. საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისთვის ხელის შეშლა; მუხლი 164. ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა, ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება; მუხლი 164¹ ამომრჩევლის მოსყიდვა; მუხლი 163³ არჩევნების გაყალბება.³ აღნიშნული დანაშაულები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს დემოკრატიული პროცესების მიმდინარეობისთვის, მიუკერძოებელი და ობიექტური არჩევნების ჩატარებისათვის ხელის შეშლა, ხვდება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიაში. მათი ჩადენის გამო თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ პირს აქტიური საარჩევნო უფლება არ ეზღუდება. ეს მაგალითები იმის საილუსტრაციოდაა მოყვანილი, რომ ამგვარი შეზღუდვის დასაწესებისას აუცილებელია არა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის ან დანაშაულის სიმძიმის, არამედ დანაშაულის ხასიათის გათვალისწინება.

მნიშვნელოვანია, რამდენად არსებობს ლოგიკური ბმა კონსტიტუციის 28-ე მუხლით დაწესებულ შეზღუდვასა და ამ შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანს შორის; კერძოდ, რამდენად მიიღწევა სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ცნობიერების ამაღლება, კანონის უზენაესობის პატივისცემა, ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება სასამართლოს განაჩენის საფუძველზე სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირებისათვის, მათ გარდა, ვინც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, აქტიური საარჩევნო უფლების შეზღუდვით.

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია კონკრეტული სახის ღონისძიებების გატარება, მათ შორის, არის თავისუფლების აღკვეთაც. გარდა ამისა, თავისუფლების აღკვეთა, გარდა პირის თავისუფლების შეზღუდვისა, არაპირდაპირ იწვევს

³ https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=16426&lang=ge

ასევე მთელი რიგი კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების შეზღუდვას, როგორც არის საკუთრების უფლება, შრომის თავისუფლება, სახელწიფო თანამდებობის დაკავების უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, შეკრების თავისუფლება და ა.შ. სწორედ ამიტომ დგება კითხვის ქვეშ ის, თუ რატომ არის აუცილებელი, დამატებით შეიზღუდოს სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის აქტიური საარჩევნო უფლება. მიუხედავად ამ პირის მრავალი უფლების შეზღუდვისა, მას არ ეზღუდება მთელი რიგი სხვა უფლებები, მათ შორის, ისეთი აბსოლუტური ხასიათის უფლებებიც, რომელთა შეზღუდვაც არცერთ შემთხვევაში არ დაიშვება. რატომ არ უნდა მიეცეს თავისუფლება ალკვეთილ პირს იმის განსაზღვრის საშუალება, თუ ვინ უნდა იყოს მისი დარჩენილი უფლებების რეალიზაციის და დაცვის გარანტი? რატომ არ უნდა ჰქონდეს მას უფლება, აირჩიოს ის ხელისუფლება, რომელიც უკეთეს პირობებს შექმნის სასჯელაღსრულების სიტყმაში; რომელიც უფრო მტკიცედ დაიცავს მის უფლებებს? დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება კონსტიტუციის პრემბულით განსაზღვრული მიზნებია. ამ სულისკვეთებით არის გამსჭვალული მთლიანად კონსტიტუცია. საარჩევნო უფლების რეალიზაციით ხდება სწორედ ხალხის ნების გამოხატვა, დემოკრატიული ხელისუფლების არჩევა, რომელმაც სახელმწიფო სწორედ ამ მიმართულებით უნდა წაიყვანოს. დემოკრატიული ხელისუფლების ერთ-ერთ წამყვან და უმთავრეს მიზანს კი წარმოადგენს ადამიანის უფლებების, როგორც უზენაესი და წარუვალა ღირებულებების, დაცვა. სახელწიფოს, ამ მხრივ, უამრავი პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულება აკისრია. სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირებისათვის მნიშვნელოვანია ხელისუფლების სათავეში ისეთი პოლიტიკური ძალის არსებობა, რომელიც ამ ვალდებულებებს ჯეროვნად შეარულებს. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ამ პირების მიმართ არის ის, რომ უზრუნველყოს სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში პატიმრობის ისეთი პირობების არსებობა, რომლებიც არ შელახავს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის ღირსების უფლებას; გამოიძიოს სრულად და ობიექტურად წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტები და ა. შ. სწორედ ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩამოთვლილ ლეგიტიმურ მიზნებსა და შეზღუდვას შორის უშუალო კავშირი და ურთიერთმიმართება არსებობდეს.

ასეთი კავშირის დანახვა არ იქნებოდა რთული, იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდვა დაწესდებოდა იმ პირთა მიმართ, რომელთაც საფრთხე შეუქმნეს დემოკრატიული წყობილების საფუძვლებს ან სამართლის უზენაესობას. ამ დროს პირს ექნებოდა იმის განცდა, რომ დემოკრატიული პროცესების მიმდინარეობისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში მას შეეზღუდებოდა თავად ამ დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის საშუალება. მოცემულ შემთხვევაში, ასეთი ურთიერთმიმართება არ არსებობს და შეზღუდვა ვერ ემსახურება დასახული ლეგიტიმური მიზნების მიღწევას.

ამრიგად, თავისუფლება ალკვეთილი მსჯავრდებულისათვის აქტიური საარჩევნო უფლების ჩამორთმევით, სახელმწიფო მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს ზემოდასახელებულ ლეგიტიმურ მიზანს პროპორციულობის პრინციპის სრულად დაცვის

პირობებში, თუ გათვალისწინებული იქნება კონკრეტული სახის დანაშაულის ინდივიდუალური ხასიათი და თავისებურებები. აღნიშნულის მიღწევის ოპტიმალური საშუალება იქნებოდა სისხლის სამართლის კოდექსით ცალკეული დანაშაულებისათვის (მათი ზემოდასახელებულ ლეგიტიმურ მიზნებთან კავშირის არსებობის შემთხვევაში) დამატებითი სასჯელის სახედ არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევის განსაზღვრა და კონსტიტუციის 28-ე მუხლის შესაბამისად ჩამოყალიბება.

მსჯავრდებულის საარჩევნო უფლება და არჩევნების სახე - ანალიზი

იმის მიუხედავად, თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის მოიხსნება თუ არა არჩევნებში მონაწილეობის უფლების შეზღუდვა, დღევანდელი მდგომარეობით არსებობს მსჯავრდებულთა ნაწილი, რომელსაც კონსტიტუცია აძლევს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. თუმცა, კონსტიტუცია სუბიექტების საარჩევნო უფლებით აღჭურვისას 28-ე მუხლის 1-ელ პუნქტში იყენებს არა ზოგადად “არჩევნებს” არამედ აკონკრეტებს და ადგენს სახელმწიფო ორგანოებისა და თვითმმართველობის არჩევნებს.

28-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომლითაც თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების ნაწილი, გამონაკლისის სახით, აღიჭურვება საარჩევნო უფლებით, უკვე აღარ არის მითითება, რა სახის არჩევნებზეა საუბარი. ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების თანახმად, მეორე პუნქტში საუბარია ყველა სახის არჩევნებზე და, შესაბამისად, თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებიც აღიჭურვებიან ყველა სახის საარჩევნო უფლებით, ანუ როგორც ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების არჩევნებში, ისე თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლებით.

პრობლემურია შემდეგი საკითხი: უნდა ჰქონდეს თუ არა თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება? ერთმნიშვნელოვანია, რომ, თვითმმართველობის არსის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს ყოფითი და ლოკალური პრობლემების აღმოფხვრას / პირობების გაუმჯობესებას, მსჯავრდებული ვერ ექცევა მუნიციპალური ორგანოების ხელისუფლების გავლენის ქვეშ, რადგან იგი იმყოფება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, რომელიც შედის ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში და მასზე არ ვრცელდება თვითმმართველობის ორგანოების არცერთი უფლებამოსილება. შესაბამისად, პირმა, რომელიც არ ექცევა კონკრეტული თვითმმართველი ერთეულის ორგანოს “დაქვემდებარების/ზეგავლენის” ქვეშ, ვერ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ ორგანოს არჩევნებში. საჯარო ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილებიდან გასული პირის მონაწილეობა ამ ორგანოს ფორმირებაში ეწინააღმდეგება წარმომადგენლობითი დემოკრატიული მმართველობის პრინციპს.

ამგვარი უნდა იყოს კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონმდებლობის ზოგადი მიდგომა განსახილველი საკითხის მიმართ. თუმცა, შესაძლებელია ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისის დადგენა. კერძოდ, საარჩევნო კანონმდებლობით, შეიძლება, განისაზღვროს, რომ, თუკი თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის სასჯელის ვადის გასვლამდე დარჩენილია 2 წელი ან უფრო ნაკლები დრო, იგი მონაწილეობს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას, სასამართლო განაჩენის საფუძველზე, გარკვეული ვადით აკრძალული არ აქვს არჩევნებში მონაწილეობა და ეს ვადა (თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებთან მიმართებით) გასული არ არის (უკანასკნელი დათქმის არსებობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, სისხლის სამართლის კანონმდებლობით, არჩევნებში ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა სასჯელის დამოუკიდებელ სახედ იქნება გათვალისწინებული). ასევე შესაძლებელია, საარჩევნო კანონმდებლობით, შეიზღუდოს თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობის უფლება იმ დათქმით, რომელიც პატიმრების მაჟორიტარულ და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობასთან მიმართებით მოქმედებს.

მსჯავრდებულთა საარჩევნო უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა

მსჯავრდებულთა ხმის მიცემის უფლება ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში

საინტერესოა ასევე განვიხილოთ, როგორ არის დარეგულირებული აღნიშნული საკითხი ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში.

ალბანეთში, აზერბაიჯანში, ხორვატიაში, კვიპროსში, ჩეხეთში, დანიაში, ფინეთში, ირლანდიაში, ლიტვაში, ლატვიაში, მაკედონიაში, მონაკოში, მონტენეგროში, სერბეთში, ესპანეთში, შვედეთსა და შვეიცარიაში ნებისმიერ მსჯავრდებულ პირს, მიუხედავად ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა, აქვს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება.

ნიდერლანდებში მჯავრდებულებს, რომელთაც შეფარდებული აქვთ 1 ან მეტი წლით თავისუფლების აღკვეთა შესაძლოა ჩამოერთვათ ხმის მიცემის უფლება სასამართლოს მიერ იმ დანაშაულისათვის, რომელიც ზეგავლენას ადენს სახელმწიფო მოწყობის საფუძვლებზე (მაგ: ბიულეტენების გაყალბება, მონარქზე თავდასხმა).

ნორვეგიაში ყველა მსჯავრდებულს აქვს ხმის მიცემის უფლება. ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა შესაძლებელია ისეთი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, როგორც არის სახელმწიფო ღალატი, არჩევნების გაყალბება, სახელმწიფო უშიშროებისათვის საფრთხის შექმნა.

უკრაინაში ყველა მსჯავრდებულ პირს აქვს ხმის მიცემის უფლება საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში. მსჯავრდებულებს არ აქვთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება, რამდენადაც სასჯელის მოხდის მანძილზე ისინი არ ითვლებიან კონკრეტული ადგილობრივი გაერთიანების წევრებად.⁴

გერმანიის კანონმდებლობის მიმოხილვა:

კონსტიტუცია

გერმანიის კონსტიტუციაში საარჩევნო უფლების შეზღუდვაზე პირდაპირი მითითებას არ ვხვდებით. კონსტიტუციის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს: „ნებისმიერ პირს, რომელმაც მიაღწია 18 წელს, აქვს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება. ნებისმიერი სრულწლოვანებას მიღწეული პირი შეიძლება არჩეული იქნეს სახელმწიფო თანამდებობაზე.“⁶

ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ დეტალური მოწესრიგება ხდება ფედერალური კანონმდებლობით.⁷ ამგვარად, კონსტიტუცია კანონმდებელს ანიჭებს დისკრეციას, რომ საარჩევნო უფლების შეზღუდვის საფუძვლები კანონით დაარეგულიროს.

სისხლის სამართლის კოდექსი

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 სექცია განასხვავებს დანაშაულის ორ ძირითად სახეს:

- მძიმე დანაშაული- (Verbrechen) უკანონო ქმედება, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა მინიმუმ ერთი წლის ვადით;
- ნაკლებად მძიმე დანაშაული- (Vergehen) რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე ნაკლები ვადით ან ჯარიმა.

სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისა და ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა გასაზღვრულის სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე სექციით, რომელიც დამატებითი ზომების სახედ არის განსაზღვრული. (Nebenfolgen). 45-ე სექციის თანახმად:

„1) პირს, რომელიც მსჯავრდებულია მძიმე დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ ერთი წლის ვადით, ხუთი წლით ერთმევა სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისა და არჩევნებში კენჭისყრის უფლება;

⁴ <http://www.parliament.uk/briefing-papers/sn01764.pdf>

⁵ http://www.gesetze-im-internet.de/englisch_gg/

⁶ Artikel 38 [Wahlrechtsgrundsätze; Rechtsstellung der Abgeordneten]- (2) Wahlberechtigt ist, wer das achtzehnte Lebensjahr vollendet hat; wählbar ist, wer das Alter erreicht hat, mit dem die Volljährigkeit eintritt.

⁷ (3) Das Nähere bestimmt ein Bundesgesetz.

⁸ http://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/

- 2) სასამართლომ შესაძლოა ჩამოართვას პირს ამავე სექციის 1-ლი ნაწილში დადგენილი უფლება ორიდან ხუთ წლამდე ვადით, თუ ეს კანონით პირდაპირ არის განსაზღვრული;
- 3) იმ ვადით, რა ვადითაც პირს ერთმევა სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება, იგი კარგავს ასევე შესაბამის დაკავებულ პოზიციასა და მასთან დაკავშირებულ უფლებებს, რომლებსაც ფლობს ამ დროისათვის;
- 4) იმ ვადით, რა ვადითაც პირს ერთმევა არჩევნებში კენჭისყრის უფლება, იგი კარგავს ასევე შესაბამის დაკავებულ პოზიციასა და მასთან დაკავშირებულ უფლებებს, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- 5) სასამართლომ შესაძლოა ჩამოართვას მსჯავრდებულ პირს არჩევნებსა და სახელმწიფო საქმეებში ხმის მიცემის უფლება (to vote in public affairs) ორიდან ხუთ წლამდე ვადით, თუ ეს კანონით პირდაპირ არის განსაზღვრული. ⁹

დამატებითი ზომები ამოქმედდება საბოლოო გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე. უფლებების ჩამორთმევის ხანგრძლივობა აითვლება თავისუფლების აღკვეთის მოხდის დღიდან.¹⁰

სასამართლომ შესაძლოა აღუდგინოს ბრალდებულს დაკარგული უფლებები, იმ შემთხვევაში, როდესაც:

- გასულია იმ ვადის ნახევარი, რა ვადითაც მსჯავრდებულს ჩამოერთვა აღნიშნული უფლება (უფლებები);
- არსებობს საკმარისი საფუძველი იმის ვარაუდისათვის, რომ მსჯავრდებული მომავალში აღარ ჩაიდენს განხრახ დანაშაულს. ¹¹

⁹ **§ 45 Verlust der Amtsfähigkeit, der Wählbarkeit und des Stimmrechts**

(1) Wer wegen eines Verbrechens zu Freiheitsstrafe von mindestens einem Jahr verurteilt wird, verliert für die Dauer von fünf Jahren die Fähigkeit, öffentliche Ämter zu bekleiden und Rechte aus öffentlichen Wahlen zu erlangen.

(2) Das Gericht kann dem Verurteilten für die Dauer von zwei bis zu fünf Jahren die in Absatz 1 bezeichneten Fähigkeiten aberkennen, soweit das Gesetz es besonders vorsieht.

(3) Mit dem Verlust der Fähigkeit, öffentliche Ämter zu bekleiden, verliert der Verurteilte zugleich die entsprechenden Rechtsstellungen und Rechte, die er innehat.

(4) Mit dem Verlust der Fähigkeit, Rechte aus öffentlichen Wahlen zu erlangen, verliert der Verurteilte zugleich

die entsprechenden Rechtsstellungen und Rechte, die er innehat, soweit das Gesetz nichts anderes bestimmt.

(5) Das Gericht kann dem Verurteilten für die Dauer von zwei bis zu fünf Jahren das Recht, in öffentlichen Angelegenheiten zu wählen oder zu stimmen, aberkennen, soweit das Gesetz es besonders vorsieht.

¹⁰ **§ 45a Eintritt und Berechnung des Verlustes**

¹¹ დანაშაულები, რომელთათვისაც გათვალისწინებულია საარჩევნო უფლების ჩამორთმევა იხ. დანართი

საფრანგეთის კანონმდებლობის მიმოხილვა

კონსტიტუცია¹²

საფრანგეთის კონსტიტუცია მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: „საფრანგეთის ორივე სქესის ყველა მოქალაქეს, რომელმაც მიაღწია სრულწლოვანების ასაკს და ახორციელებს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, აქვს ხმის მიცემის უფლება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

სისხლის სამართლის კოდექსი¹³

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 131-26-ე მუხლი სასჯელის სახედ ადგენს სამოქალაქო და საოჯახო უფლებების ჩამორთმევას, რომელიც ასევე მოიცავს პასიურ და აქტიურ საარჩევნო უფლებას. მძიმე დანაშაულისთვის აღნიშნული უფლებების ჩამორთმევის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს, ხოლო ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის ხუთ წელს.¹⁴

მსჯავრდებულთა საარჩევნო უფლება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია¹⁵

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-15 შესწორების თანახმად: დაუშვებელია, როგორც სახელმწიფოს, ასევე მოქალაქეებს ჩამოერთვათ ან შეეზღუდოთ ხმის მიცემის უფლება რასის, კანის ფერის ან ადრე მონად ყოფნის გამო. ხოლო მე-19 შესწორების თანახმად, დაუშვებელია ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა ან შეზღუდვა სქესის მიხედვით. 26-ე შესწორება ადგენს, რომ 18 წელს მიღწეულ მოქალაქეებს არ შეიძლება შეეზღუდოთ ან ჩამოერთვათ ხმის მიცემის უფლება ასაკის გამო. ამგვარად, კონსტიტუციაში არ არის აღნიშვნა მსჯავრდებულთა საარჩევნო უფლების შეზღუდვაზე, შესაბამისად, ამერიკის შტატებში აღნიშნული საკითხი განსხვავებულად რეგულირდება.

ამერიკის 11 შტატში მძიმე დანაშაულში მსჯავრდებულმა პირებმა შესაძლოა მუდმივად დაკარგონ ხმის მიცემის უფლება. ამერიკის 20 შტატში ხმის მიცემის უფლება შესაძლოა აღდგეს თავისუფლების აღკვეთის მოხდის, ან ვადაზე ადრე გათავისუფლებისა და გამოსაცდელი ვადის მოხდის შედეგად. 3 შტატში ხმის მიცემის უფლება აღდგება თავისუფლების აღკვეთის მოხდისა ან ვადაზე ადრე გათავისუფლების შედეგად. 13 შტატში

¹² <http://www.servat.unibe.ch/icl/fr00000.html>

¹³ www.legifrance.gouv.fr/content/download/1957/13715/.../Code_33.pdf

¹⁴ დანაშაულები, რომელთათვისაც გათვალისწინებულია საარჩევნო უფლების ჩამორთმევა იხ. დანართი

¹⁵ <http://constitutionus.com>

ხმის მიცემის უფლება აღდგება თავისუფლების აღკვეთის მოხდის შედეგად. მხოლოდ ორ შტატში მსჯავრდებულებს შეუღუდავად აქვთ ხმის მიცემის უფლება.¹⁶ ეს შტატებია: მენის შტატი¹⁷ და ვერმონტის შტატი¹⁸.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და კანადის სასამართლოს გადაწყვეტილებები:

2005 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება ჰირსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Case of Hirst v. the United Kingdom)¹⁹

დიდი ბრიტანეთის 1983 წლის აქტის „ხალხის წარმომადგენლობის შესახებ“ მე-3 სექცია ადგენდა, რომ მსჯავრდებულ პირს, რომელიც იხდიდა სასჯელს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ გააჩნდა სამართლებრივი უფლება, რომ მონაწილეობა მიეღო სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხებოდა პირებს, რომლებიც პატიმრობაში იმყოფებოდნენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ან სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამო.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი ადგენს, რომ მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას გონივრული პერიოდულობით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით ისეთ პირობებში, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოების არჩევისას უზრუნველყოფს ხალხის ნება-სურვილის თავისუფალ გამოხატვას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განცხადებით საარჩევნო უფლება არ არის აბსოლუტური უფლება და შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს. აღნიშნული შეზღუდვების დადგენისას სასამართლო სახელმწიფოს საკმაოდ ფართო დისკრეციას ანიჭებს. თუმცა შეზღუდვა არ უნდა დაწესდეს ისე, რომ დაირღვეს თავად ამ უფლების არსი და დაიკარგოს მისი ეფექტიანობა.

სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მსჯავრდებულები კვლავ განაგრძობენ იმ უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით არსებობას, რომლებიც გარანტირებულია კონვენციით, როგორც არის ოჯახური ცხოვრების პატივისცემა, წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა, გამოხატვის თავისუფლება, რელიგიის თავისუფლება, კომუნიკაციის პატივისცემა. ამ უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა გამართლებული უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ გამართლების პოვნა შესაძლებელია სხვადასხვა ლეგიტიმურ საფუძვლებზე დაყრდნობით. პირველი დამატებითი ოქმის მე-3

¹⁶ <http://felonvoting.procon.org/view.resource.php?resourceID=000286>

¹⁷ http://felonvoting.procon.org/sourcefiles/Vermont_Voting_Code.pdf

¹⁸ <http://felonvoting.procon.org/sourcefiles/maine-code-felon-voting-2012.pdf>

¹⁹ [http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/Pages/search.aspx#{"fulltext":\["hirst"\],"documentcollectionid2":\["GRANDCHAMBER"\],"CHAMBER":\["CHAMBER"\],"itemid":\["001-70442"\]}](http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/Pages/search.aspx#{)

მუხლი, რომელიც უზრუნველყოფს ამომრჩევლის შესაძლებლობას ზეგავლენა მოახდინოს საკანონმდებლო ხელისუფლების შედგენაზე, არ გამორიცხავს, რომ შეზღუდვები შესაძლოა დაწესდეს იმ პირთა მიმართ, რომელთაც ბოროტად გამოიყენეს სახელმწიფო თანამდებობა ან რომელთა ქცევამაც საფრთხე შეუქმნა სამართლის უზენაესობას ან დემოკრატიულ საფუძვლებს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-3 მუხლში არ არის დაკონკრეტებული იმ ლეგიტიმური მიზნების ჩამონათვალი, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს საარჩევნო უფლების შეზღუდვა. თუმცა, მიზანი შესაბამისობაში უნდა იყოს მე-3 მუხლთან. დიდი ბრიტანეთის მთავრობის განცხადებით, პატიმართა საარჩევნო უფლების შეზღუდვის მიზანი იყო დანაშაულის თავიდან აცილება მსჯავრდებულის ქმედების დასჯით და ასევე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და სამართლის უზენაესობისადმი პატივისცემის ამაღლება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოცემული მიზანი ლეგიტიმურად განიხილა მე-3 მუხლის მიზნებისათვის.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ არაპროპორციულად ცნო აღნიშნული ნორმა, ვინაიდან ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე ადგენდა შეზღუდვას პატიმართა საარჩევნო უფლებაზე. ვინაიდან არ ხდებოდა დანაშაულის სიმძიმის, პატიმრობის ხანგრძლივობისა და ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინება.

2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება ფროდლი ავსტრიის წინააღმდეგ (Case of Frodl v. Austria)²⁰

ავსტრიის ფედერალური კონსტიტუციური კანონის 26-ე მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ეროვნული ასსამბლეის არჩევნების შესახებ აქტის 22-ე სექციის პირველი პუნქტი ადგენდა: „ყველა, ვისაც ეროვნული სასამართლოს მიერ შეეფარდა სასჯელი ერთი ან მეტი განზრახი დანაშაულისათვის და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე მეტი ვადით, ერთმევა ხმის მიცემის უფლება. უფლება აღდგება სასჯელის მოხდიდან ექვსი თვის შემდეგ.“

ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლი ადგენდა: „სასამართლოს ენიჭება ფართო დისკრეცია იმასთან დაკავშირებით დააკისროს, თუ არა მსჯავრდებულს უფლების ჩამორთევა, როგორც დამატებითი სანქცია“.

²⁰[http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/Pages/search.aspx#{"fulltext":\["frodli"\],"documentcollection2":\["GRANDCHAMBER"\],"CHAMBER":\["CHAMBER"\],"itemid":\["001-98132"\]}](http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/Pages/search.aspx#{)

სასამართლოს შეფასება:

სასამართლომ აღნიშნა, რომ საარჩევნო უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი ოქმის მე-3 მუხლით. თავისუფალი არჩევნები, გამოხატვის თავისუფლება და პოლიტიკური დებატების თავისუფლება ქმნის ნებისმიერი დემოკრატიის საფუძველს. თუმცა, საარჩევნო უფლება არ არის აბსოლუტური უფლება. არსებობს სივრცე შესაბამისი შეზღუდვებისათვის და წევრ ქვეყნებს გააჩნიათ ფართო მიხედულება (margin of appreciation) აღნიშნულ სფეროში, გამომდინარე იქიდან, რომ არსებობს საარჩევნო სისტემის ორგანიზებისა და ფუნქციონირების უამრავი გზა და ასევე მრავალი განსხვავება, მაგალითად ისტორიული განვითარება, კულტურული მრავალფეროვნება და პოლიტიკური შეხედულებები.

მიუხედავად ყველაფრისა, არ უნდა ხდებოდეს უფლების იმგვარად შეზღუდვა, რომ დაირღვეს თავად ამ უფლების არსი. ნებისმიერი დათქმა მიზნად უნდა ისახავდეს, შეინარჩუნოს საარჩევნო პროცედურების მთლიანობა და ეფექტიანობა, რომელიც ემსახურება ხალხის ნების გამოვლენას საყოველთაო არჩევნების მეშვეობით. მთლიანი მოსახლეობიდან რომელიმე ჯგუფის ან კატეგორიის ამორიცხვა შესაბამისობაში უნდა იყოს 1-ლი ოქმის მე-3 მუხლის ძირითად მიზნებთან.

უფლების ჩამორთმევის მკაცრი ზომა მარტივად არ უნდა იქნეს გამოყენებული. პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს, რომ არსებობდეს ცხადი და შესაბამისი კავშირი სანქციას, ქცევასა და ინდივიდუალურ გარემოებებს შორის.

უფლების ჩამორთმევა შესაძლოა გამოყენებული იქნეს უფრო ვიწრო ჯგუფისათვის, რომლებიც იხდიან გრძელვადიან სასჯელს; უნდა არსებობდეს პირდაპირი კავშირი იმ ფაქტებს, რომელსაც ეფუძნება მსჯავრი და უფლების ჩამორთმევის სანქციას შორის; და ასეთი შეზღუდვა უმჯობესია დაწესდეს არა კანონის, არამედ სასამართლოს მიერ.

ავსტრიის მთავრობის არგუმენტებიდან გამომდინარე, სასამართლომ ამ შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნია, დანაშაულის პრევენცია მსჯავრდებული პირების ქმედების დასჯის გზით და ასევე სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდა და სამართლის უზენაესობის პატივისცემა.

ჰირსტის (Hirst v. United Kingdom) საქმეში განსაზღვრული კრიტერიუმების ძირითადი მიზანი არის ის, რომ უფლების ჩამორთმევა დაადგინოს გამონაკლის შემთხვევად და უზრუნველყოს, ინდივიდუალურ გადაწყვეტილებაში კონკრეტული დასაბუთების არსებობა, რომელიც ახსნის, რატომ იყო საჭირო საქმეში არსებული კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით უფლების ჩამორთმევის გამოყენება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა კონვენციის 1-ლი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა.

აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ ავსტრიის კანონმდებლობაში შევიდა შესაბამისი ცვლილებები. ცვლილებების შესაბამისად, ავსტრიის სასამართლოებს მიეცათ შესაძლებლობა, რომ ჩამოართვან ხმის მიცემის უფლება პირებს, რომლებიც მსჯავრდებულები არიან დანაშაულისათვის, რომლისთვისაც გათვალისწინებულია

თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ ერთი წლის ვადით და მხოლოდ ისეთი დანაშაულებისთვის, როგორც არის: სახელმწიფო დალატი და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულები, სახელმწიფოს უზენაესი ორგანოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, სამხედრო ძალების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, დანაშაულები, რომლებიც შეეხება არჩევნებსა და რეფერენდუმს, დანაშაულები, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენენ სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობებზე, გენოციდი, კრიმინალური ან ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა, ტერორიზმი, ეროვნული სოციალისტური დანაშაულები და მათი პროპაგანდა, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება არჩევნებთან და რეფერენდუმთან მიმართებით. გარდა ამისა, ნებისმიერი სხვა განხრახი დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა 5 წელზე მეტი ვადით, შეიძლება გახდეს უფლების ჩამორთმევის საფუძველი. მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს საქმის სპეციალური გარემოებები, რაც მოითხოვს პროპორციულობის ტესტის გამოყენებას.

სასჯელის სრულად მოხდის შემდეგ აღდგება საარჩევნო უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მსჯავრდებული მიჩნეული იქნება სახიფათოდ.

ასევე აღსანიშნავია, რომ ის მსჯავრდებულები, რომელთაც გააჩნიათ ხმის მიცემის უფლება, ხმას ამლევენ არა სასჯელადსრულების დაწესებულების, არამედ მათი ყოფილი საცხოვრებელი ადგილის ტერიტორიაზე.²¹

კანადის სასამართლოს გადაწყვეტილება (SAUVÉ c. CANADA)²²

კანადის საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, არჩევნებში ხმის მიცემის უფლება არ ჰქონდათ პირებს:

- რომლებიც იმყოფებოდნენ გამოსასწორებელ დაწესებულებაში და მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა ორი ან მეტი წლით;

კანადის მთავრობამ მსჯავრდებულების საარჩევნო უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნებად დაასახელა: 1) სამართლის უზენაესობის პატივისცემისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდა; 2) დამატებითი სასჯელის დადგენა, ან სანქციის ზოგადი მიზნების გაზრდა;

სასამართლომ მიზნებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პირველი მიზანი გააჩნია ყველა სისხლის სამართლის ნორმას. მეორე მიზანთან მიმართებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ მთავრობის არგუმენტებიდან არ იკვეთება, რატომ მიიჩნია პარლამენტმა საჭიროდ, კონკრეტული კატეგორიის დამნაშავეებისათვის უფრო მეტი სასჯელის დანიშვნა, ან რა დამატებითი მიზნის მიღწევა სურდა პარლამენტს აღნიშნული სასჯელით, რომელიც არ იყო გათვალისწინებული სასჯელის სხვა სახეებით.

²¹ <http://eudo-citizenship.eu/admin/?p=file&appl=countryProfiles&f=1311-Austria-FRACIT.pdf>

²² <http://scc-csc.lexum.com/scc-csc/scc-csc/en/item/2010/index.do>

სასამართლომ დაადგინა, რომ შეზღუდვა არ აკმაყოფილებდა პროპორციულობის ტესტს, ვინაიდან მთავრობამ ვერ დაამტკიცა რაციონალური კავშირის არსებობა ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევასა და მის მიერ განსაზღვრულ ლეგიტიმურ მიზნებს შორის.

სასამართლოს მოსაზრებით, მსჯავრდებულთათვის ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევამ შეიძლება გამოიწვიოს იმ მნიშვნელოვანი შესაძლებლობების დაკარგვა, რომელთა მეშვეობითაც ხდება დემოკრატიული ღირებულებებისა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის სწავლება.

მეორე მიზანთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა არ შეესაბამება ლეგიტიმური სასჯელის მოთხოვნებს, კერძოდ, რომ სასჯელი არ უნდა იყოს თვითნებური და უნდა ემსახურებოდეს დასაბუთებულ სისხლისამართლებრივ მიზანს. თვითნებობის არარსებობა გულისხმობს, რომ სასჯელი შეესაბამებოდეს მსჯავრდებულის ქმედებებსა და ინდივიდუალურ გარემოებებს. სასჯელადსრულების დაწესებულებაში მყოფი ყველა მსჯავრდებულისათვის ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა, მიუხედავად ჩადენილი დანაშაულის, გამოწვეული ზიანის, ან მათი ქმედების ნორმატიული ხასიათისა, არ აკმაყოფილებს ლეგიტიმური სასჯელის მოთხოვნებს და რაციონალურად არ უკავშირდება მთავრობის მიერ ჩამოყალიბებულ მიზანს.²³

რეკომენდაცია

იმისათვის, რომ არსებობდეს ლოგიკური კავშირი სასჯელის აღსრულებაში მყოფი პირებისათვის აქტიური საარჩევნო უფლების შეზღუდვასა და მის ლეგიტიმურ მიზანს შორის და ეს ღონისძიება იყოს მიზნის მიღწევის ეფექტური და გამოსადეგი საშუალება, უნდა მოხდეს ნორმის დახვეწა და მასში დამატებითი მექანიზმების ჩადება. მივიჩნევთ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით ყველაზე მისაღები მოდელი, რომლითაც შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ არის გერმანული მოდელი. შესაბამისად, საარჩევნო უფლების შეზღუდვა შესაძლოა, განისაზღვროს დამატებითი სასჯელის სახედ, რომლის გამოყენებაც მოსამართლის გადაწყვეტილებით იქნება შესაძლებელი იმ შემთხვევებში, როდესაც ეს აუცილებელი და საჭირო იქნება საარჩევნო უფლების შეზღუდვის მიზნების მისაღწევად. აღნიშნულის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე უნდა შეიცვალოს კონსტიტუციის 28-ე მუხლიც.

რაც შეეხება მეორე პრობლემას, კერძოდ, უნდა ჰქონდეთ, თუ არა სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფ პირებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მივიჩნევთ, რომ ამ კუთხითაც საჭიროა კონსტიტუციასა და საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება. საარჩევნო კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს, რომ თუ კენჭისყრის დღისათვის პირის

²³ <http://scc-csc.lexum.com/scc-csc/scc-csc/en/item/2010/index.do>

თავისუფლების აღკვეთის დარჩენილი ვადა 2 წელი ან უფრო ნაკლებია, მას უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში.

კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით და დაემატოს მე-3 პუნქტი:

2. არჩევნების საფუძველზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში არ შეიძლება აირჩეს მოქალაქე, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში.

3. არჩევნებსა და რეფერენდუმში ხმის მიცემის უფლება არ აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო. არჩევნებსა და რეფერენდუმში ხმის მიცემის უფლება არ აქვს აგრეთვე მოქალაქეს, რომელსაც, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით, სასჯელის სახით შეფარდებული აქვს არჩევნებსა და რეფერენდუმში ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში ხმის მიცემის უფლებაზე ვრცელდება საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი შეზღუდვები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლს (სასჯელის სახეები) დაემატოს კ) ქვეპუნქტი- არჩევნებში ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა. 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის მეორე წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ქონების ჩამორთმევა და არჩევნებში ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად.

არჩევნებში ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა დაემატოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგ მუხლებს:

მუხლი 162 არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა;

მუხლი 163. საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა

მუხლი 164. ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება

მუხლი 164¹ ამომრჩევლის მოსყიდვა

მუხლი 164³ არჩევნების გაყალბება

მუხლი 308 საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა

მუხლი 309 ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულები დადება და მოლაპარაკების წარმოება

მუხლი 310 საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფა

მუხლი 311 უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა

მუხლი 312 საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ხელყოფა

მუხლი 313 სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა

მუხლი 314 ჯაშუშობა

მუხლი 315 შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად

მუხლი 316 სამხედრო ხელმძღვანელობის უკანონოდ ხელში ჩაგდება ან კანონიერი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა

მუხლი 317 მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ

მუხლი 318 საბოტაჟი

მუხლი 319 უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარება

მუხლი 320 სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება

მუხლი 321 სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესის დარღვევა

მუხლი 323 ტერორისტული აქტი

მუხლი 323² საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობა

მუხლი 325 საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა

მუხლი 326 საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმა

მუხლი 327 ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა, ტერორისტული ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობა, ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა ან ხელმძღვანელობა

მუხლი 327¹ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრებისათვის გადაბირება

მუხლი 328 უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება ანტიტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარება

მუხლი 329 მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით

მუხლი 329¹ საჰაერო ან წყლის ხომალდის, რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ან სხვა საზოგადოებრივი ან სატვირთო ტრანსპორტის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება ტერორისტული მიზნით

მუხლი 330 სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით

მუხლი 330¹ საქვეყნოდ მოწოდება ტერორიზმისკენ

მუხლი 330² წრთვნის ჩატარება და ინსტრუქტაჟის გაწევა ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის

მუხლი 330³ ქურდობა ამ თავით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენის მიზნით

330⁴ გამოძალვა ამ თავით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენის მიზნით

330⁵ ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება ამ თავით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენის მიზნით

331¹ ტერორიზმის დაფინანსება, ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა ან რესურსებით უზრუნველყოფა

მუხლი 404 აგრესიის აქტის დაგეგმვა, მომზადება, დაწყება ან წარმოება

მუხლი 405 მოწოდება აგრესიის აქტის დაგეგმვისაკენ, მომზადებისკენ, დაწყებისკენ ან წარმოებისკენ

მუხლი 406 მასობრივი განადგურების იარაღის დამზადება, შექმნა ან გასაღება

მუხლი 407 გენოციდი

მუხლი 408 დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ

მუხლი 409 ეკოციდი

დანართი:

დანაშაულები, რომელთათვისცა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისა და არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა

თავი პირველი- მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, სახელმწიფო ღალატი, დემოკრატიული სახელმწიფოსათვის საფრთხის შექმნა

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები	დანაშაულის აღწერა
სექცია 80	აგრესიული ომის მომზადება
სექცია 80a	აგრესიული ომის გამოწვევა
სექცია 81	სახელმწიფო ღალატი ფედერაციის წინააღმდეგ
სექცია 82	სახელმწიფო ღალატი ფედერაციის სუბიექტების წინააღმდეგ
სექცია 83	კამპანიის წამოწყება, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო ღალატს
სექცია 84	არაკონსტიტუციურად გამოცხადებული პოლიტიკური პარტიის საქმიანობის გაგრძელება
სექცია 85	ასოციაციის შექმნის აკრძალვის დარღვევა
სექცია 86	არაკონსტიტუციურად ცნობილი ორგანიზაციების სააგიტაციო მასალების გავრცელება
სექცია 86a	არაკონსტიტუციურად ცნობილი ორგანიზაციების სიმბოლოების გამოყენება
სექცია 87	საიდუმლო აგენტად მუშაობა საბოტაჟის მოწყობის მიზნით
სექცია 88	საბოტაჟის მოწყობა კონსტიტუციის წინააღმდეგ
სექცია 89	ანტი-კონსტიტუციური ზეგავლენის მოხდენა შეიარაღებულ ძალებსა და

	საზოგადოებრივი უსაფრთხოების ძალებზე
სექცია 89a	მძიმე დანაშაულის მომზადება, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს
სექცია 89b	კონტაქტების დამყარება ისეთი მძიმე დანაშაულის მომზადების მიზნით, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს
სექცია 90	ფედერაციის პრეზიდენტის დისკრედიტაცია
სექცია 90a	სახელმწიფოსა და მისი სიმბოლოების დისკრედიტაცია
სექცია 90b	კონსტიტუციური ორგანოების ანტი-კონსტიტუციური დისკრედიტაცია
სექცია 91	კომისიის წაქეზება ისეთი მძიმე დანაშაულის ჩასადენად, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს

თავი მეორე- ღალატი და ეროვნული უსაფრთხოებისათვის საფრთხის შექმნა

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები	დანაშაულის აღწერა
სექცია 94	სახელმწიფო ღალატი
სექცია 95	სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა ზიანის მიყენების მიზნით
სექცია 96	ჯაშუშობა, ჯაშუშობა სახელმწიფო საიდუმლოების გაგების მიზნით
სექცია 97	სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა და ზიანის მიყენება გაუფრთხილებლობით
სექცია 97a	უკანონო საიდუმლოების გაცემა
სექცია 97b	საიდუმლოების გაცემა იმ მცდარ საფუძველზე დაყრდნობით, რომ საიდუმლოება უკანონოა
სექცია 98	მოლალატეობრივი საქმიანობა აგენტის როლში
სექცია 99	სადაზვერვო სამსახურში აგენტად მუშაობა
სექცია 100	ისეთ საქმიანობაში ჩართულობა, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობას
სექცია 100a	თადლითობა

თავი მესამე-უცხო ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები	დანაშაულის აღწერა
სექცია 102	უცხო ქვეყნის წარმომადგენლობასა და ორგანოებზე თავდასხმა

თავი მეოთხე-კონსტიტუციური ორგანოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, რომლებიც შეეხება არჩევნებსა და საარჩევნო ბიულეტენებს

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები	დანაშაულის აღწერა
სექცია 107	საარჩევნო პროცესის ჩაშლა
სექცია 107a	არჩევნების შედეგების გაყალბება
სექცია 108	ამომრჩეველთა დაშანტაჟება
სექცია 108b	ამომრჩეველთა მოსყიდვა
სექცია 108e	კანდიდატების მოსყიდვა

თავი 5-ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი	დანაშაულის აღწერა
სექცია 109e	თავდაცვის საშუალებების წინააღმდეგ მიმართული საბოტაჟი
სექცია 109f	სადაზვერვო საქმიანობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას

თავი 22-თაღლითობა და გაფლანგვა²⁴

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი	დანაშაულის აღწერა
სექცია 264	სუბსიდიების მითვისება

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები, რომელთათვის გათვალისწინებულია საარჩევნო უფლების ჩამორთმევა

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი	დანაშაულის აღწერა
211-1	გენოციდი და მასთან დაკავშირებული დანაშაულები
211-2	დანაშაულები ადამიანურობის წინააღმდეგ
214-1	დანაშაულები, რომლებიც უკავშირდება

²⁴ http://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html

	ევგენიკასა და კლონირებას
221-1 – 221-5-3	განხრახი მკვლელობა
221-1 – 222-18-2	წამება, ძალადობა, რომელიც იწვევს სიკვდილს, მუქარა
222-22 – 222-33-1	გაუპატიურება და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობისკენ მიმართული სხვა დანაშაულები
222-34 – 222-43-1	ნარკოტიკებით ვაჭრობა
223-15-2	შუალობითი აღმსრულებლობა
223-3 – 223-8	პირის განსაცდელში მიტოვება და მისთვის დახმარების გაწევის დაშლა, ადამიანებზე ექსპერიმენტების ჩატარება
223-10 – 223-14	აბორტი პირის თანხმობის გარეშე, თვითმკვლელობამდე მიყვანა
224-1 – 224-10	გატაცება და უკანონო დაკავება,თავდასხმა
225-4-1 – 225-12-7	ტრეფიკინგი, წაქეზებასთან დაკავშირებული დანაშაულები, დანაშაულები, რომლებიც შეეხება არასრულწლოვნის პროსტიტუციაში ჩაბმას, პირის მათხოვრობაზე დაყოლიება
226-1 – 226-32	საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები
227-1 – 227-33	არასრულწლოვნისა და ოჯახის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები
311-1 – 311-16	ქურდობა
312-1 – 312-15	გამომალვა, შანტაჟი
313-1; 312-2; 313-6; 313-6-1	მითვისება
314-1; 314-2; 314-3	ნდობის ბოროტად გამოყენება
321-1 – 321-12	უკანონო ქონების მიღება
321-1 – 322-18	ზიანის მიყენება
323-1 – 323-7	მონაცემთა დამუშავების სისტემასთან უკანონო წვდომა
324-1; 324-2	ფულის გათეთრება
410-1 – 414-9	დანაშაულები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ეროვნულ ინტერესებს
421-1 – 422-7	ტერორისტული დანაშაულები
431-1	გამოხატვის თავისუფლების, გაერთიანების თავისუფლების, შრომის თავისუფლების ან

	შეკრების თავისუფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა
431-5 – 431-6	შეიარაღებული პირების უკანონო შეკრებაში მონაწილეობის მიღება
431-10	საჯარო შეკრებაზე ან მანიფესტაციაზე იარაღთ დასწრება
431-13 – 431-21	დანაშაულები, რომლებიც უკავშირდება საბრძოლო დაჯგუფების წევრობას
431-22 – 431-27	აკადემიურ დაწესებულებაში უკანონო შესვლა
431-28	აკადემიურ დაწესებულებაში იარაღით შესვლა
432-1 – 432-17	საჯარო მოხელის მიერ უფლებამოსილების განხორციელებისას ჩადენილი დანაშაულები, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, დისკრიმინაცია, მიმოწერასთან დაკავშირებული კონფიდენციალობის დარღვევა, გადასახადის უკანონო მოთხოვნა, კორუფცია, საჯარო სამსახურის დროს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება, ქონების მითვისება
433-1 – 433-25	ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, საჯარო მოსამსახურის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ეროვნული სიმბოლოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები
434-4 – 434 -9-1; 434-11; 434-13 – 434-15; 434-17 – 434-23; 434-27; 434-29; 434-30; 434-32; 434-33; 434-35; 434-36; 434-40 – 434-43	სასამართლო სისტემის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები
435-1 – 435-15	ევროკავშირის, სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო საჯარო ორგანიზაციების მმართველობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, კორუფცია
436-1 – 436-5	დაქირავებული მებრძოლის საქმიანობა
441-1 – 441-12	დანაშაულები, რომლებიც ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ნდობას
442-1 – 442-6	ყალბი ფულის წარმოება

443-1 - 443-8	სახელმწიფოს მიერ გამოშვებული საქმიანი ქაღალდების გაყალბება
441-1 – 441-9	ხელისუფლების ოფიციალური სიმბოლოების გაყალბება
4451; 445-2	აქტიური და პასიური კორუფცია
450-1	კრიმინალური გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობა

გამოყენებული მასალა:

ლიტერატურა

Prisoner's Voting Rights- Isobel White, 12 August, 2014, Parliament and Constitution Centre
Access to Electoral Rights-Austria- Joachim Stern, Gerd Valchars, June 2013, EUDO Citizenship
Observatory
Venice Commission and The OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights
(OSCE/ODIHR) Joint Opinion on Georgia, as amended through March 2010

სასამართლოს გადაწყვეტილებები

Sauve v Canda, Supreme Court Judgements, 31 October, 2001
Case of Hirst v The United Kingdom, 10 June, 2005
Case of Frodl v. Austria, 8 May, 2010

ნორმატიული მასალა

საქართველოს კონსტიტუცია
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
გერმანიის კონსტიტუცია
გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი
საფრანგეთის კონსტიტუცია
საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი
ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია

ინტერნეტ-რესურსი

Procon.org